უცხოელ მოგზაურთა თვალით დანახული თბილისის მოსახლეობა XIX საუკუნეში

ირინე ნაჭყებია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველო,
ქ. თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქუჩა #3. 0162;
+995599453034; irnat@hotmail.com
https://orcid.org/0009-0005-7022-5031

აბსტრაქტი

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ოდითგანვე იყო ევროპისა და აზიის კულტურული და პოლიტიკური გზაჯვარედინი. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის საქართველოზე კონტროლის დამყარების შემდეგ თბილისის პოლიტიკური ფუნქცია პირველივე წლებიდან ძირეულად შეიცვალა. ამ კონტექსტში საინტერესოა საქართველოში სხვადასხვა მიზნით მოგზაურ ევროპელთა თხზულებებსა და ვენსენის არქივში (საფრანგეთი) დაცული ცნობები. ამ მოგზაურთ შორის იყვნენ სამხედრო პირები, გეოგრაფები, იურისტები, მწერლები, მხატვრები, ექიმები და სხვ. მათ ნაწერებში დაცული ინფორმაცია თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის, წეს-ჩვეულებებისა და საქმიანობის შესახებ თემატურად დავახარისხეთ და გავაანალიზეთ.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ თბილისის ძირითად მოსახლეობას სომხები და ქართველები, შედარებით მცირე ჯგუფებს კი მუსლიმები, თათრები და სპარსელები, შეადგენდნენ. XIX საუკუნის პირველ წლებში თბილისის მოსახლეობას შეემატნენ რუსი სამხედრო მოხელეები და ჯარისკაცები, ოციან წლებში კი აქტიურად დაიწყო სომხებისა და გერმანელების ემიგრაცია, რაც სამხედრო, პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. მოგზაურთა ცნობ-

ები დიდწილად ეყრდნობა მათ მიერ ქუჩებში, ბაზრებში, ქარვასლებსა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამართულ მიღებებზე მიღებულ ინფორმაციას. ამ მასალიდან ჩანს, რომ თბილისში სხვადასხვა მიზნით ჩამოსულთა (ოსები, ლეკები, სპარსელები, ჩერქეზები, დაღესტნელები, ფრანგები, გერმანელი კოლონისტები და სხვ.) იერსახე, აგრეთვე სალაპარაკო ენების სიმრავლე და კოსტიუმების მრავალფეროვნება და თბილისს განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებდა.

უცხოელი მოგზაურები ინფორმაციას თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის, მათი ადათ-წესებისა და ჩვეულებების შესახებ თავიანთი კულტურისა და ღირებულებების პრიზმაში ატარებდნენ. ამიტომ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა დრო დაყო ამა თუ იმ მოგზაურმა საქართველოში, მათი ცნობები გარკვეული სუბიექტურობისგან დაზღვეული არ არის. მიუხედავად ამისა, ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც განათლებული ევროპელი მკითხველი იღებდა საქართველოს შესახებ. ამ მოგზაურთა მიერ მოწოდებული მდიდარი მასალა საკვლევად მეტად საინტერესო წყაროა და სწორედ ამაში მდგომარეობს მოგზაურის ნაწერების მნიშვნელობა.

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კი შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისი მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს ასრულებდა, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობდნენ, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნი იყო.

საკვანძო სიტყვები: თბილისი; ევროპელი მოგზაურები; ეთნორელიგიური შემადგენლობა; ქართველები; სომხები; მუსლიმები; გერმანელები.